



საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N5 - ბარათი

1. **ბანკი** ახორციელებს **კანონმდებლობით** დაშვებული ნებისმიერი (მათ შორის საკრედიტო, სადებეტო და სხვა) ტიპის **ბარათის** ემისიას, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს შემდეგ საბარათე სქემაში: Visa, MasterCard, American Express, Georgian Card. ამასთან, კონკრეტული **ბარათის** ტიპისა და საბარათე სქემის შესახებ ინფორმაცია მოცემულია **ბარათის განაცხადში** ან/და **ბარათთან** დაკავშირებულ სპეციფიკურ პირობებში, ასევე საბარათე სქემის შესახებ ინფორმაცია დატანილია **ბარათზე**.
2. **ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას.
3. **ბარათის** მეშვეობით შესაძლებელია შემდეგი სახის **ოპერაციის** განხორციელება:
 - 3.1. **განაღების** **ოპერაცია**;
 - 3.2. **გადახდის** **ოპერაცია** (**ბარათით** საქონლის ან/და მომსახურების საფასურის უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდა ან/და **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ით** ინტერნეტ გადახდა);
 - 3.3. თანხის ჩარიცხვა ან/და თანხის შეტანა;
 - 3.4. ვალუტის გადაცვლა.
4. საბარათე სქემიდან ან/და **ბარათის** ტიპიდან გამომდინარე, კონკრეტულ **ბარათთან** მიმართებით არსებული სპეციფიკური (მათ შორის დაშვებული ან/და შეზღუდული **ოპერაციების** შესახებ) პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება აღნიშნულ **ბარათთან** დაკავშირებული სპეციფიკური პირობებით ან/და მისი **განაცხადით**.
5. შესაძლებელია **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** შენახვა/დამახსოვრება საგადახდო აპლიკაციაში ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილ მოწყობილობაში - ტელეფონი, საათი, სამაჯური ან სხვა. ამასთან:
 - 5.1. **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** შენახვა/დამახსოვრება შესაძლებელია:
 - 5.1.1. Apple Pay საგადახდო აპლიკაციაში;
 - 5.1.2. Google Pay საგადახდო აპლიკაციაში;
 - 5.2. Apple Pay წარმოადგენს კომპანია Apple-ის საგადახდო აპლიკაციას;
 - 5.3. Google Pay წარმოადგენს კომპანია Google-ის საგადახდო აპლიკაციას;
 - 5.4. იმდენად, რამდენადაც Apple Pay და Google Pay წარმოადგენს **მესამე პირის** მიერ შემუშავებულ საგადახდო აპლიკაციას, მისი გამოყენების ძირითად პრინციპებს, ისევე როგორც აღნიშნულის ფარგლებში **ოპერაციების** შესრულების ძირითად პირობებს ადგენს შესაბამისი **მესამე პირი** (შემდგომში - **საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანია**). ამასთან, **საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანიის** მიერ დადგენილი პირობები **კლიენტისთვის** მოქმედია წინამდებარე **დანართის** პირობებთან ერთად.
 - 5.5. საგადახდო აპლიკაციით სარგებლობამდე **კლიენტი** ვალდებულია დაწვრილებით გაეცნოს **ბანკის** და **საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანიის** მიერ დადგენილ პირობებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ხელშეკრულებით** დადგენილი, **ბარათთან** დაკავშირებული პირობები, სრულად ვრცელდება საგადახდო აპლიკაციაში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე** (**ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე**).
 - 5.6. Apple Pay და Google Pay საგადახდო აპლიკაციის სათანადო ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი **საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანია**.
 - 5.7. საგადახდო აპლიკაციაში შესაძლებელია, როგორც პლასტიკური **ბარათების**, ასევე **ციფრული ბარათების საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** შენახვა/დამახსოვრება.
 - 5.8. **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს საგადახდო აპლიკაციაში შეინახოს/დამახსოვროს ერთდროულად რამდენიმე **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი**.
 - 5.9. **კლიენტი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, საგადახდო აპლიკაციის მიერ დადგენილი წესით, წაშალოს მის მიერ საგადახდო აპლიკაციაში შენახული/დამახსოვრებული **ბარათი** (**ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი**).
 - 5.10. საგადახდო აპლიკაციაში **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** შენახვის/დამახსოვრების შედეგად **ოპერაციების** ინიცირება განხორციელდება აღნიშნული საგადახდო აპლიკაციის გამოყენებით, რომელიც თავის მხრივ **ოპერაციის** ინიცირებისთვის იყენებს შესაბამის **უკონტაქტო აპლიკაციას**.



- 5.11. Apple Pay და Google Pay საგადახდო პალიკაციის მეშვეობით შესაძლებელია შემდეგი **ოპერაციების** განხორციელება:
 - 5.11.1. **განაღების ოპერაცია;**
 - 5.11.2. **გადახდის ოპერაცია** (პოს-ტერმინალზე გადახდა, ასევე ინტერნეტ გადახდა Apple Pay და Google Pay საგადახდო აპლიკაციის მეშვეობით).
- 5.12. მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის Apple Pay ან Google Pay საგადახდო აპლიკაციის მეშვეობით გადახდისას მოქმედებს მგზავრობის სტანდარტული საფასური.
- 5.13. **ბანკი უფლებამოსილია, ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** Apple Pay და Google Pay საგადახდო აპლიკაციაში ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილ მოწყობილობაში შენახვა/დამახსოვრებიდან 24 საათის განმავლობაში, შესაბამის **ბარათზე** დააწესოს **ოპერაციის** განხორციელებისათვის **ხარჯვის ლიმიტები**.
- 5.14. **კლიენტი** ვალდებულია;
 - 5.14.1. საგადახდო აპლიკაციის **მესამე პირის** მიერ წვდომისგან დაცვის მიზნით გამოიყენოს საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის პერსონალური დაცვის საშუალება - სახის იდენტიფიკატორი (Face ID), პას კოდი, თითის ანაბეჭდი ან/და სხვა;
 - 5.14.2. არ მისცეს **მესამე პირს** საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის გამოყენების უფლება;
 - 5.14.3. არ გახადოს ხელმისაწვდომი ან/და არ გაანდოს **მესამე პირს** საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის დაცვის ან/და **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ისა** და დაცვის საშუალებების (**პინ-კოდი, ერთჯერადი კოდი** ან სხვა) შესახებ ინფორმაცია;
 - 5.14.4. საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის ან/და **ბარათის** უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ გამოიყენოს ადვილად მიხვედრადი ან გამოთვლადი საშუალებები;
 - 5.14.5. არ დატოვოს საგადახდო აპლიკაცია ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობა უყურადღებოდ, ისე რომ შესაძლებელი იყოს **მესამე პირების** მიერ მისი გამოყენება;
 - 5.14.6. გაითვალისწინოს, რომ ნებისმიერი **მესამე პირი**, რომელსაც აქვს საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის გამოყენების/განბლოკვის შესაძლებლობა ასევე შეძლებს განხორციელოს **ოპერაციები**;
 - 5.14.7. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** ან გამოცხადდეს **ბანკში** პირადად და მოითხოვოს **ბარათის** დაბლოკვა, თუ საგადახდო აპლიკაცია ან/და საგადახდო პალიკაციით აღჭურვილი მოწყობილობა (ტელეფონი, საათი, სამაჯური ან სხვა), რომელშიც შენახულია/დამახსოვრებულია **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები)**, მოპარული ან დაკარგულია ან/და **კლიენტს** ეჭვი აქვს, რომ საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო პალიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის მეშვეობით **მესამე პირს** აქვს შესაძლებლობა შეასრულოს **ოპერაცია**. ამასთან, თავის მხრივ **ბანკი კლიენტის** განცხადების შესაბამისად უზრუნველყოფს **ბარათის** დაბლოკვას.
 - 5.14.8. გაითვალისწინოს, რომ **კლიენტის** მიერ Apple Pay / Google Pay საგადახდო აპლიკაციაში შენახული/დამახსოვრებული **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები)** შენახულია/დამახსოვრებულია Apple Pay / Google Pay საგადახდო აპლიკაციის შესაბამის Apple ან Google ანგარიშზე, შესაბამისად თუ მისი Apple ან/და Google ანგარიში (Apple Account / Google Account) ხელმისაწვდომია საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილ რამდენიმე მოწყობილობაზე ან/და ინტერნეტ საძიებო სისტემაში, მაშინ **ოპერაციის** შესრულება შესაძლებელია თითოეული ასეთი მოწყობილობის/სისტემის გამოყენებით;
 - 5.14.9. გაითვალისწინოს, რომ ინტერნეტ საძიებო სისტემის ან/და საგადახდო აპლიკაციის წაშლა არ იწვევს Apple ან Google ანგარიშიდან (Apple Account / Google Account) **ბარათის (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების)** წაშლას. ამასთან, თუ **კლიენტს** სურს რომ წაშალოს დამახსოვრებული/შენახული **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები)** რათა შეუძლებელი იყოს **ოპერაციის** განხორციელება, **კლიენტი** ვალდებულია წაშალოს **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი)** შესაბამისი Apple / Google ანგარიშიდან (რომლის განხორციელებაც ასევე შესაძლებელია შესაბამისი საგადახდო აპლიკაციის გამოყენებით) ან დაუკავშირდეს **ბანკს/გამოცხადდეს ბანკში** პირადად და მოითხოვოს **ბარათის** დაბლოკვა.



- 5.15. თუ საგადახდო პალიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის დაცვის საშუალებად გამოყენებულია **მესამე პირის** იდენტიფიკატორები (მაგ. სახის იდენტიფიკატორი, თითის ანაბეჭდი) აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი **მესამე პირისათვის ოპერაციების** შესრულების მინიჭების უფლებამოსილებას, შესაბამისად **მესამე პირის** მიერ ინიცირებული **ოპერაცია** ჩაითვლება ავტორიზებულად.
- 5.16. საგადახდო პალიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის შეცვლისას, გასხვისებისას ან/და **მესამე პირისთვის** მფლობელობაში გადაცემისას **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ წაშალოს **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი)** საგადახდო აპლიკაციიდან ან დაუყოვნებლივ მიმართოს **ბანკს ბარათის** დასაბლოკად.
- 5.17. **ბანკი** უფლებამოსილია:
- 5.17.1. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის მეშვეობით **ოპერაციის** შესრულების **ლიმიტები** (მათ შორის **ხარჯის ლიმიტი** ან/და დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგ. დღე, კვირა, თვე და ა.შ.) **ოპერაციის** შესრულების **ლიმიტები**);
- 5.17.2. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაადგინოს საგადახდო პალიკაციაში **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** შენახვისას/დამახსოვრებისას ან/და მისი მეშვეობით **ოპერაციის** შესრულებისას უსაფრთხოების დაცვის ან/და **კლიენტის** ავთენტიფიკაციის/იდენტიფიკაციის /ვერიფიკაციის წესები და პირობები;
- 5.17.3. საკუთარი შეხედულებისამებრ დაადგინოს **ბარათის** ტიპები, რომლის **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** საგადახდო აპლიკაციაში ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილ მოწყობილობაში ჩატვირთვა/დამახსოვრება შეზღუდულია;
- 5.17.4. განახორციელოს საგადახდო პალიკაციით აღჭურვილ მოწყობილობასთან (მათ შორის მოწყობილობის მოდელის, საოპერაციო სისტემის ან/და სხვა) ან/და საგადახდო აპლიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება/დამუშავება;
- 5.17.5. **კლიენტის** მიერ საგადახდო პალიკაციით სარგებლობის მიზნებისთვის **კლიენტის** პერსონალური მონაცემები ან/და **კლიენტის** კუთვნილი **ბარათის** შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს **საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერ კომპანიას**.
- 5.17.6. დაბლოკოს ან/და შეაჩეროს საგადახდო აპლიკაციაში შენახული/დამახსოვრებული **ბარათის** მოქმედება ან/და უარის თქვას **ოპერაციის** შესრულებაზე იმ შემთხვევაში თუ:
- 5.17.6.1. **ბანკს** აქვს ეჭვი **მესამე პირის** მიერ საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის არამართლობიერი (მათ შორის თაღლითურად) გამოყენების შესახებ;
- 5.17.6.2. **საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანიის** ან/და საერთაშორისო საგადახდო სქემის მიერ **ბანკისთვის** მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად არსებობს არავტორიზებული **ოპერაციის** შესრულების რისკი ან/და არსებობს საერთაშორისო საგადახდო სქემის მოთხოვნა ამგვარ ქმედებაზე;
- 5.17.6.3. **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 5.17.7. ნებისმიერ დროს, **კლიენტის** დამატებითი შეტყობინების ან/და თანხმობის/აქცეპტის გარეშე, შეწყვიტოს **კლიენტის** მიერ საგადახდო პალიკაციით სარგებლობა (**კლიენტის** მიერ საგადახდო პალიკაციის მეშვეობით **ოპერაციის** ინიცირების შესაძლებლობა) თუ შეწყდება **ბანკსა** და **საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერ კომპანიას** შორის არსებული შესაბამისი გარიგება;
- 5.18. **ბანკი** პასუხს არ აგებს **კლიენტის** მიერ წინამდებარე პირობების დარღვევით შესრულებულ **ოპერაციებზე**.
6. **ბარათით** დაშვებული **ოპერაციები**, შესაბამისი საბარათე სქემით დადგენილ ფარგლებში, შეიძლება იყოს შემდეგი ხასიათის:
- 6.1.1. ონლაინ ოპერაცია - **ოპერაცია**, რომლის დროსაც მოწმდება **ბარათის ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომი თანხა და მხოლოდ **ოპერაციის** შესაბამისი თანხის არსებობის შემთხვევაში ხდება **ოპერაციის** შესრულება;
- 6.1.2. ოფლაინ ოპერაცია - **ოპერაცია**, რომლის შესრულებაც ხდება **ბარათის ანგარიშზე** არსებული, **ოპერაციის** შესაბამისი თანხის ხელმისაწვდომობის გადამოწმების გარეშე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია **ანგარიშზე** მოხდეს გადახარჯვა (გადახარჯვა - **ანგარიშზე** თანხის 0-ის ნიშნულზე დაბლა ჩამოსვლა);



- 6.1.3. ავტომატურად განმეორებადი (რეკურენტული) ოპერაცია - მომსახურების ან/და საქონლის საფასურის პერიოდული გადახდა, როდესაც **ბარათით** საფასურის გადახდის საგადახდო დავალება, ინიცირებულია გამყიდველის/მომსახურების გაწევის მიერ, **ბარათის** მფლობელის წინასწარი თანხმობის საფუძველზე.
7. **ბარათით ოპერაციის** შესრულებისას თანხის კონვერტაციის პირობები მოცემულია **ბანკის ვებ-გვერდზე**, შემდეგ მისამართზე: www.bankofgeorgia.ge, რომელიც **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის გარეშე ექვემდებარება **ბანკის** შეხედულებისამებრ პერიოდულ განახლებას/ცვლილებას.
8. **ბარათით** შესრულებულ **ოპერაციაზე** ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ბანკის** მომსახურების სერვის-ცენტრში ან/და **ბანკის** შემდეგი დისტანციური მომსახურების საშუალებით: **ინტერნეტ ბანკი, ტელეფონ ბანკი, მობილ ბანკი, იმეილ ბანკი, SMS ბანკით (ოპერაციის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებით).**
9. **ბარათით** ჩატარებული **ოპერაციის** გასაჩივრების ვადა შეადგენს **ოპერაციის** შესრულების თარიღიდან 30 (ორცდაათი) დღეს. ამასთან, **ოპერაციის** გასაჩივრებისას **კლიენტი** ვალდებულია მიაწოდოს **ბანკს ოპერაციასთან** დაკავშირებული სრული ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
10. **ბანკის** მიერ **კლიენტის** პრეტენზიის/საჩივრის მიღების პირობები განთავსებულია **ბანკის ვებ-გვერდზე** შემდეგ მისამართზე: www.bankofgeorgia.ge, რომელიც **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის გარეშე, ექვემდებარება **ბანკის** შეხედულებისამებრ პერიოდულ განახლებას/ცვლილებას. ამასთან, **ბანკის** მიერ მიღებულ პრეტენზიაზე/საჩივარზე რეაგირების პირობები და ვადები (მათ შორის განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, **კლიენტის** პრეტენზიაზე/საჩივარზე განხილვის ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში **კლიენტის** ინფორმირების პირობები და ვადები) დადგენილია ამავე პირობების შესაბამისად.
11. **ბარათი** ძალაშია იმ თვის ბოლომდე, რომელიც მითითებულია **ბარათზე**.
12. **ბანკი კლიენტს PIN კოდს** გადასცემს დალუქული კონვერტის ან **კლიენტის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS შეტყობინების მეშვეობით.
13. **ბანკომატიდან ბარათით** თანხის განაღდების ყოველდღიური (ყოველ 27 (ოცდაშვიდი) საათში ერთხელ) **ლიმიტია** 1500 (ათას ხუთასი) ლარი. **ბანკი** უფლებამოსილია სხვადასხვა ტიპის **ბარათებთან** დაკავშირებით დააწესოს **ბანკომატიდან** განაღდების სხვადასხვა **ლიმიტი**.
14. **ბანკის** პოს-ტერმინალის მეშვეობით **ბარათით** თანხის განაღდების ყოველდღიური (ყოველ 27 (ოცდაშვიდი) საათში ერთხელ) **ლიმიტია** 1500 (ათას ხუთასი) ლარი, მაგრამ არაუმეტეს 10 (ათი) **განაღდების ოპერაცია**. **ბანკი** უფლებამოსილია სხვადასხვა ტიპის **ბარათებთან** დაკავშირებით დააწესოს პოს-ტერმინალის მეშვეობით განაღდების სხვადასხვა **ლიმიტი**.
15. იმ შემთხვევაში თუ **განაცხადით** არ არის განსაზღვრული **ბარათის** ძირითადი ვალუტა, მაშინ ასეთად ავტომატურად მიიჩნევა ეროვნული ვალუტა.
16. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობები სრულად ვრცელდება **დამატებით ბარათზე/დამატებითი ბარათის მფლობელზე**.
17. **დამატებითი ბარათით** ჩატარებულ ნებისმიერ **ოპერაციაზე** პასუხისმგებელია **კლიენტი**.
18. **დამატებითი ბარათი** არ გაიცემა და **დამატებითი ბარათის ხელშეკრულებით** განსაზღვრული დებულებები არ გავრცელდება **ბანკის** მიერ შეთავაზებულ **ბარათებზე**, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს ან აქ განსაზღვრული **ბარათის** კონკრეტული პირობებისგან განსხვავებულ პირობებს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული შესაბამის დანართში (კონკრეტულ პირობებში).
19. **ბანკომატმა** შესაძლებელია დააკავოს **ბარათი**:
- 19.1. **PIN კოდის** არასწორად შეყვანის შემთხვევაში;
- 19.2. არსებობს ეჭვი **მესამე პირის** მიერ **ბარათის** არამართლზომიერი გამოყენების შესახებ;
- 19.3. ლოკალური ან/და საერთაშორისო საგადახდო სქემის ინფორმაციის შესაბამისად არსებობს **ბარათის** მეშვეობით არავტორიზებული **ოპერაციის** შესრულების რისკი;
- 19.4. არსებობს ლოკალური ან/და საერთაშორისო საგადახდო სქემის შესაბამისი მოთხოვნა **ბარათის** დაკავებასთან დაკავშირებით.



20. **ბანკის ბანკომატის** მიერ დაკავებულ **ბარათთან** დაკავშირებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკის** სერვის-ცენტრს ან **ტელეფონ ბანკს**. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ, **ბარათის ბანკომატის** მიერ დაკავებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში **კლიენტი** არ მიმართავს **ბანკს**, გამოყენების მიზნით (თუ **ბარათის** დაკავების მიზეზიდან გამომდინარე **ბარათის** გამოყენება შესაძლებელია), **ბარათის კლიენტისთვის** დაბრუნების თხოვნით, მაშინ **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე გააუქმოს **ბარათი**.
21. **ბანკი** აწესებს **ხარჯვის ლიმიტებს**, რომელიც დროდადრო შეიძლება შეიცვალოს **ბანკის** შეხედულებისამებრ.
22. **ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხებიდან **ბანკი, კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე ჩამოჭრის **ბარათის** გამოყენებით განხორციელებული ყველა **ოპერაციის** შესაბამის თანხას, **კლიენტის** მიერ გადასახდელი ყველა გადასახდელის (მათ შორის **საკომისიოს**) ჩათვლით.
23. მას შემდეგ, რაც **კლიენტი** განახორციელებს **ოპერაციას ბარათის** გამოყენებით მას არ აქვს უფლება მოსთხოვოს **ბანკს** ამ **ოპერაციის** შეჩერება.
24. **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **ოპერაცია**, რომელიც ავტორიზებულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი იმ შემთხვევაში, თუ **ბანკს** გააჩნია სათანადო მტკიცებულება იმისა, რომ **ოპერაცია** გაუქმდა.
25. ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** შეიძლება დამზადდეს **ბანკის** მიერ ცალმხრივად, **ბანკის** შეხედულებისამებრ ან **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხადის** ან **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკის** მიერ ცალმხრივად განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა წესით წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.
26. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** ავტომატურად დაუმზადოს, როგორც ახალი **ბარათი, ბარათის** მოქმედების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის დროს, აგრეთვე **დამატებითი ბარათი**.
27. ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** ავტომატურად დამზადების შემთხვევაში **ბანკი კლიენტს** გაუზიარებს შესაბამის შეტყობინებას, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინებაში **ბანკი** განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც **კლიენტი** უფლებამოსილია გაააქტიუროს ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** და აგრეთვე, ადგილს ან საკომუნიკაციო არხს სადაც **კლიენტს** შეუძლია დაადგინოს ადგილი, სადაც **კლიენტს** ექნება საშუალება მიიღოს ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი**. ამასთან, ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** გააქტიურება განხორციელდება **ბანკის** მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
28. ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** ავტომატურად დამზადება მოხდება **კლიენტის** ხარჯით. ამასთან, თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს **ბარათისათვის/დამატებითი ბარათისათვის ბანკში** დადგენილი **საკომისიოს** მოცულობას, **ბანკი** ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** დამზადებისთანავე ჩამოაჭრის **კლიენტს**.
29. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** შეტყობინებაში განსაზღვრულ ვადაში არ განახორციელებს ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** მიღებას/გააქტიურებას, **ბანკის** მიერ ჩამოჭრილი **საკომისიო კლიენტს** უკან არ დაუბრუნდება თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.
30. თუ **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე ან **ანგარიშზე** შესაბამისი თანხების არარსებობის გამო **კლიენტისათვის** ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** არ დამზადებულა, **ბანკი ბარათის/დამატებითი ბარათის** ვადის გასვლიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში შეაჩერებს **ანგარიშ(ებ)ზე** აქტივის **ოპერაციებს** (თანხის გატანა, თანხის გადარიცხვა ან ნაშთის სხვაგვარად შემცირება), თუ ამ დრომდე **კლიენტის** შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე **ბანკს** მისთვის ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** არ დაუმზადებია.
31. თუ **ბარათს** ვადა გაუვა და არ მოხდება ახალი **ბარათის** დამზადება, **ბარათი** გაუქმდება, მოხდება მისი ამოღება ან მოხდება **კლიენტის უნივერსალური მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის** დახურვა (ან სხვა რაიმე მიზეზით მისი გარდაქმნა **სტანდარტულ მიმდინარე ანგარიშად**) **კლიენტს** 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში ეკრძალება **ანგარიშიდან** თანხების გადარიცხვა, გატანა ან **ანგარიშზე** არსებული სახსრების სხვაგვარად გამოყენება თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს. **ბანკის** გადაწყვეტილებით შესაძლებელია წინამდებარე პუნქტში მოცემული ვადა გაგრძელდეს დამატებით 14 (თოთხმეტი) დღით.



32. თუ ბარათი მოპარული ან დაკარგულია ან კლიენტს ეჭვი აქვს, რომ ვიღაცამ იცის მისი PIN კოდი ან სხვა წვდომის კოდი, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს ან გამოცხადდეს ბანკში პირადად, რის შემდეგაც ბანკი უზრუნველყოფს ბარათის დაბლოკვას. ბარათის განბლოკვა განხორციელდება კლიენტის განცხადების შესაბამისად. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ ბარათით შესაძლებელია გადახდა PIN კოდის გარეშე, მაშინ კლიენტი ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ ბარათის დაბლოკვამდე გადახდის ოპერაციის შესრულება შესაძლებელია ყოველგვარი დაბრკოლების (PIN კოდის გამოყენების) გარეშე.
33. იმ შემთხვევაში თუ ბარათის გამოყენება მოხდა არალეგალურად, კლიენტის მიერ ბანკის შეტყობინებამდე ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შესახებ ან იმის შესახებ, რომ მესამე პირისათვის ცნობილია წვდომის კოდები, კლიენტი ვალდებულია ანაზღაუროს ამგვარი უკანონო გამოყენების შედეგად გადასახდელი თანხა მიყენებული ზიანი/ზარალი.
34. კლიენტი პასუხისმგებელია ყველა იმ ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდება ბარათით, მესამე პირის მიერ კლიენტის ნებართვით და ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.
35. თუ ბანკი საჭიროდ ჩათვლის მას ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს, ამოიღოს ან აკრძალოს ბარათის გამოყენება.
36. თუ კლიენტის მიერ მოთხოვნილია ბარათის დაბლოკვა კლიენტი არ არის უფლებამოსილი გაიტანოს თანხები უნივერსალური მიმდინარე ანგარიშიდან ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე ან/და სხვაგვარად გამოიყენოს ბარათი, ბარათის განბლოკვამდე.
37. ბარათის დაბლოკვის შემდეგ, ბანკი უფლებამოსილია ბარათთან დაკავშირებულ ანგარიშ(ებ)ს მოემსახუროს სტანდარტული მიმდინარე ანგარიშის პირობების შესაბამისად.
38. როგორც კი ბანკი მიიღებს შეტყობინებას ბარათის დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ, ბანკი დაბლოკავს ბარათს.
39. თუ კლიენტი იპოვის ბარათს (რომლის დაბლოკვის შესახებაც გაცხადებული აქვს ბანკში) იგი ვალდებულია გამოცხადდეს ბანკში და წერილობით განაცხადოს ბლოკირების მოხსნის შესახებ, ხოლო ბანკი უფლებამოსილია განბლოკოს ბარათი, თუ იმ პერიოდისთვის ბარათი არ იქნება გაუქმებული ან ვადაგასული.
40. კლიენტი არ არის ვალდებული ბარათის უკანონო გამოყენებით გამოწვეულ ზარალზე, თუ მას არ მიუღია (ჩაუბარებია) ბარათი.
41. ბანკი არ აგებს პასუხს მესამე პირების მიერ ბარათით წარმოებულ არც ერთ ოპერაციაზე, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.
42. ბარათის ამოღების ან ანგარიშის დახურვის შემთხვევაში:
 - 42.1. კლიენტმა უნდა გააუქმოს ყველა მუდმივი საგადასახადო დავალება, ავტომატური გადახდები ან სხვა სადებეტო დავალება;
 - 42.2. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს ანგარიშზე დარიცხული ნებისმიერი თანხა ნებისმიერ დაგვიანებით დარიცხულ თანხასთან ერთად;
 - 42.3. ბანკი გააგრძელებს დაგვიანებული თანხების დარიცხვას, მანამ სანამ არ მოხდება ბანკისთვის თანხების სრულად გადახდა;
43. კლიენტის მიერ უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში, წინამდებარე დანართის 42 პუნქტის პირობებთან ერთად, კლიენტი ვალდებულია გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:
 - 43.1. უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვასთან ერთად გაუქმდება მასზე დაკავშირებული ყველა ბარათი;
 - 43.2. თუ განაცხადით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული, უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვის საპროგრნოზო თარიღი შეადგენს ბანკის მიერ უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვის შესახებ კლიენტის მოთხოვნის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) დღეს;
 - 43.3. კლიენტის მიერ უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვის მოთხოვნის მომენტიდან, კლიენტი კისრულობს ვალდებულებას, უნივერსალური მიმდინარე ანგარიშთან მიმართებით არ შეასრულოს საბანკო ოპერაცია;

- 43.4. დასახური უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვა განხორციელდება საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N2 - ანგარიშის მომსახურების პირობების შესაბამისად.
44. ბანკი არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ ბარათის დაკარგვისას კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის მხრიდან დარღვეული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანკის ინფორმირების წესები.
45. კლიენტი პასუხისმგებელია ბარათის მეშვეობით ჩატარებული ყველა არაკანონიერი ოპერაციაზე.
46. კლიენტი ბანკის წინაშე პასუხისმგებელია ანგარიშთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებაზე, მათ შორის იმ ვალდებულებებზეც, რომლებიც წარმოიშვა ბარათის ან/და ბარათის ნომრის ან/და ბარათის მოქმედების ვადის ან/და PIN კოდის ან/და სხვა წვდომის კოდების გამოყენებიდან.
47. კლიენტი პასუხისმგებელია თუ მესამე პირი არ მიიღებს ბარათს ან წვდომის კოდებს, ბანკომატის გაუმართაობაზე, გაფიცვას ან დავაზე, ან ნებისმიერ სხვა ვითარებაზე, რომელიც გავლენას ახდენს ბარათის, წვდომის კოდის გამოყენებაზე და რომელსაც ბანკი უშუალოდ ვერ აკონტროლებს.
48. ბანკი არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების ქმედებაზე, ბარათის გაუქმებასთან ან ამოღებასთან დაკავშირებით.
49. უკონტაქტო გადახდის აპლიკაციით აღჭურვილი ბარათები:
- 49.1. უკონტაქტო აპლიკაციით აღჭურვილი ბარათით შესაძლებელია განხორციელდეს მგზავრობის საფასურის გადახდა ტრანსპორტში.
- 49.2. ბანკი უფლებამოსილია ბარათით ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდაზე დააწესოს გადახდის რაოდენობრივი ლიმიტები.
- 49.3. იმ შემთხვევაში თუ უკონტაქტო აპლიკაციით აღჭურვილი ბარათით განხორციელდება მგზავრობის საფასურის გადახდა და უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე არ იქნება საკმარისი თანხა, ბანკი კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე დაუშვებს ოვერდრაფტს, ბანკში დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 49.4. უკონტაქტო აპლიკაციით აღჭურვილი ბარათის დაბლოკვისას კლიენტი ვალდებულია მოითხოვოს როგორც ბარათის დაბლოკვა, ასევე უკონტაქტო აპლიკაციის დაბლოკვა.
50. ბანკი ვალდებულია:
- 50.1. უნივერსალური მიმდინარე ანგარიშიდან თანხების ჩამოწრა განახორციელოს განაცხადში, კლიენტის მიერ არჩეული გახარჯვის სქემის შესაბამისად;
- 50.2. ბარათის გაუქმების ან ამოღების შემთხვევაში დაუბრუნოს კლიენტს ანგარიშზე რიცხული ნაშთი ბარათის ბანკისათვის გადაცემიდან 14 (თოთხმეტი) საბანკო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს ბარათის მოქმედების შეჩერებაზე.
51. ბანკი უფლებამოსილია:
- 51.1. დაუყოვნებლივ დაბლოკოს ბარათი, იმ შემთხვევაში თუ უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე დაფიქსირდება გადახარჯვა (0-ის ნიშნულის ქვემოთ ჩამოსვლა).
- 51.2. დამატებითი ბარათის მფლობელს გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის ამონაწერი), რომელიც დაკავშირებულია დამატებით ბარათთან მათ შორის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დამატებითი ბარათის სათანადო გამოყენებისთვის.
- 51.3. აუცილებლობის შემთხვევაში, ბარათის მოქმედების ვადაში შეცვალოს ბარათი ახლით, რის შესახებაც კლიენტს შეატყობინებს 14 (თოთხმეტი) საბანკო დღით ადრე;
- 51.4. მისცეს მესამე პირებს ინფორმაცია ბარათის ან წვდომის კოდების დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ, იმ მიზნით, რომ ბანკმა შეასრულოს საერთაშორისო საბარათე სქემების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.
- 51.5. ანგარიშიდან ჩამოწროს, ბანკში ბარათის დაკარგვის შესახებ წერილობითი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში, ჩატარებული ოპერაციების თანხები;
- 51.6. კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ხელშეკრულების დარღვევის, აგრეთვე კლიენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს ბარათის მოქმედება.
- 51.7. შეაჩეროს ბარათის მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, საერთაშორისო საბარათე სქემების მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთანავე.



- 51.8. გააუქმოს **ბარათი** ან/და დახუროს **ბარათთან** დაკავშირებული ნებისმიერი **ანგარიში** იმ შემთხვევაში თუ **ბარათის** დამზადების შესახებ **განაცხადის** წარდგენის დღიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნება გამოყენებული **ბარათი** ან 120 (ას ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნება **ბარათი კლიენტის** მიერ ჩაბარებული.
- 51.9. გააუქმოს ან/და დახუროს **ბარათი** იმ შემთხვევაში თუ **ბარათის ადგილზე** **მიტანის მომსახურების** განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში **კლიენტი** არ გამოიყენებს **ბარათს**.
- 51.10. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს ბარათის** გაცემაზე ან/და აღდგენაზე;
- 51.11. **ანგარიშიდან ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწერო **ბარათით ოპერაციების** წარმოებისათვის, ასევე, **ანგარიშსა** და **ბარათთან** დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი, აგრეთვე, **კანონმდებლობით** განსაზღვრული სხვა გადასახდელები;
- 51.12. არ დაავტორიზოს/არ შეასრულოს **დავალება**, თუ:
- 51.12.1. **კლიენტის** განცხადების შესაბამისად ან **ბანკის** შეხედულებისამებრ **ბარათი** დაიკარგა ან მოპარულ იქნა.
- 51.12.2. **კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი** არღვევს **ხელშეკრულებას**.
- 51.12.3. **ბანკის** მიერ ავტორიზებული ყველა (ჯერ ჩამოუჭრელი თანხების ჩათვლით) **ოპერაციის** გათვალისწინებით **ანგარიშზე** საკმარისი თანხები არ არსებობს.
- 51.13. **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, **კლიენტის** ანგარიშიდან ჩამოაჭრას Cash-back თანხა, იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდა **ბარათით** განხორციელებული ის **ოპერაცია**, რომლის საფუძველზეც **კლიენტს ანგარიშზე** დაერიცხა **Cash-back** თანხა და **კლიენტს ანგარიშზე** დაუბრუნდა გაუქმებული **ოპერაციის** თანხა. წინამდებარე **პუნქტის** მიზნებისთვის **Cash-back** თანხა არის **ბანკის** აქციის ფარგლებში, აქციით დადგენილი პირობებით და ოდენობით, **კლიენტის** მიერ კონკრეტულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში **ბარათით** განხორციელებულ **ოპერაციებზე ბანკის** მიერ **კლიენტის ანგარიშზე** ბენეფიტად ჩარიცხული თანხა.
52. **კლიენტი** ვალდებულია:
- 52.1. **განაცხადის** შევსებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშ(ებ)ზე** ჩარიცხოს თანხა ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით **ბარათის** ტიპისათვის **ბანკში** დადგენილი აუცილებელი შენატანის ოდენობით.
- 52.2. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებზე** არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს, ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში.
- 52.3. **ბარათის** დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს**. ყოველი ზეპირი განაცხადი უნდა დადასტურდეს **ბანკში** პირადი მისვლით და წერილობით განცხადებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს**.
- 52.4. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი მიწოდება **ბანკსთვის**.
- 52.5. **ბანკის** მიერ **ბარათის** გაუქმების ან ამოღების შემთხვევაში დაუბრუნოს **ბარათი ბანკს** შეტყობინებიდან არა უგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- 52.6. სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტში **ბარათით** შეძენილი საქონლის/მომსახურების უკან დაბრუნების შემთხვევაში, არ მოითხოვოს შეძენილი საქონლის/მომსახურების ღირებულების უკან დაბრუნება ნაღდი ანგარიშსწორების გზით. თანხის დაბრუნება განხორციელდება შესაბამისი ღირებულების თანხის **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** ჩარიცხვის გზით;
- 52.7. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს **ბარათი ბანკს**. **ბარათის** დაუბრუნებლობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **ბარათი**.
- 52.8. ხელი მოაწეროს **ბარათს** მისი მიღებისთანავე. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ მოაწერს ხელს **ბარათს** ან ხელმოწერის **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ფაქსიმილიასთან შეუსაბამობის შემთხვევაში **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს, ჩამოართვას ან შეუზღუდოს **კლიენტს ბარათის** ან **წვდომის კოდების** გამოყენების შესაძლებლობა;
- 52.9. უსაფრთხოდ შეინახოს **ბარათი** და არ მისცეს **მესამე პირებს** მისი გამოყენების შესაძლებლობა;
- 52.10. დაიმანხოს და შემდეგ დაუყოვნებლივ გაანადგუროს **წვდომის კოდები** მათი მიღებისას.
- 52.11. არასოდესროს არ დაწეროს **წვდომის კოდები** ან/და **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)** ისე, რომ **მესამე პირებმა** შეძლონ მათი მოპოვება;



- 52.12. არავის გაანდოს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი** (მათ შორის **ბარათის** ნომერი, **ბარათის** მოქმედების ვადა, **PIN კოდი**, **CVV/CVC კოდი**).
- 52.13. ინტერნეტ სივრცეში **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** შენახვის/დამახსოვრების შემთხვევაში გაითვალისწინოს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** შესაძლო გამჟღავნებისა და არაავტორიზებული **ოპერაციების** შესრულების რისკი.
- 52.14. ყოველთვის დაიცვას **ბარათით** სარგებლობის წესები და **ბარათის** უსაფრთხოების ზომები.
- 52.15. გააცნოს **დამატებითი ბარათის მფლობელს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები.
- 52.16. აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი/ზარალი, რომელიც წარმოიქმნება **ბარათის მფლობელის** მიერ მოცემული **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო.
- 53. **კლიენტი** უფლებამოსილია:
 - 53.1. მოითხოვოს **დამატებითი ბარათის** დამზადება **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **ბარათებზე**.
 - 53.2. **ბარათით** განახორციელოს **ოპერაციები** მხოლოდ **ხარჯვის ლიმიტის** ფარგლებში;
 - 53.3. მოითხოვოს **ბარათის** განახლება;
 - 53.4. შეწყვიტოს **ბარათის** გამოყენება (ან **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **დამატებითი ბარათის** გამოყენება) **ბანკში** წერილობითი განცხადებით და **ბარათის** და **დამატებითი ბარათის ბანკისთვის** დაბრუნებით;
 - 53.5. შეუკვეთოს **ციფრული ბარათის** პლასტიკური ვერსია ან/და პლასტიკური **ბარათი** და **ციფრული ბარათი** ერთად.
- 54. **ბანკი** არ აგებს პასუხს:
 - 54.1. მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ასეთი დაყოვნება გამოწვეული იყო **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზით;
 - 54.2. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** კანონიერებაზე;
 - 54.3. **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე;
 - 54.4. თუ მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები ვერ განხორციელდა ტექნიკური ხარვეზის გამო.
- 55. **კლიენტს** არ აქვს უფლება:
 - 55.1. გამოიყენოს **ბარათი კანონმდებლობით** ან/და სხვა ქვეყნის შესაბამისი იურისდიქციით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;
 - 55.2. გამოიყენოს **ბარათი** მის ძალაში შესვლამდე ან **ბარათის** ვადის გასვლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც **კლიენტი** მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ **ბანკმა** გააუქმა **ბარათი** ან თუ **ბარათი** დაბლოკილია ან თუ **ბანკს** დაწესებული აქვს რაიმე სახის შეზღუდვები **ბარათის** გამოყენებასთან დაკავშირებით;
 - 55.3. გამოიყენოს **ბარათი** თუ მასზე არ არის **ოპერაციის** შესრულებისათვის საკმარისი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია **ოპერაციის** შესრულებისათვის (საკომისიოს თუ სხვა გადასახდელების ჩათვლით) აუცილებელი თანხის ოდენობით **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** დაუშვას **ოვერდრაფტი ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად
- 56. **ბარათთან** დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება **ხელშეკრულებით** და საერთაშორისო საბარათე სქემების მიერ განსაზღვრული პირობებით.
- 57. **მხარეები**, თანხმდებიან რომ იმ შემთხვევაში თუ, სრულდება ყველა შემდეგი პირობა ერთობლივად: ა. **კლიენტი** ბარათს უკვეთავს **მობილ ბანკის** საშუალებით და ბ. **ბარათის** შეკვეთა ხორციელდება **კლიენტის** დამსაქმებელსა და **ბანკს** შორის გაფორმებული სახელფასო პროგრამით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში/მის საფუძველზე და **ბანკისთვის** უცნობია **კლიენტის** დაკავებული სამსახურობრივი სტატუსი ან/და დამსაქმებელი **ბანკს** არ შეატყობინებს **კლიენტის** მიერ დაკავებული პოზიციას, **კლიენტს** დაუმზადდება იმ ტიპის **ბარათი**, რომელიც გათვალისწინებულია ორგანიზაციის არამენეჯერული პოზიციის თანამშრომლისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რა სამსახურობრივ პოზიციაზე არის **კლიენტი** დასაქმებული.
- 58. **კლიენტის** მიერ **ციფრული ბარათის** პლასტიკური ვერსიის ან/და პლასტიკური **ბარათისა** და **ციფრული ბარათის** ერთად შეკვეთის შემთხვევაში:
 - 58.1. **ციფრული ბარათი** და პლასტიკური **ბარათი** წარმოადგენს ერთსა და იმავე **ბარათს**;



58.2. ციფრული ბარათის და პლასტიკური ბარათის ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები იქნება ერთი და იგივე;

58.3. ციფრული ბარათი და პლასტიკური ბარათი მიმბმული იქნება ერთსა და იმავე უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშთან და ორივეზე ვრცელდება ერთი და იგივე PIN კოდი.

59. კლიენტი უფლებამოსილია ერთდროულად ფლობდეს მაქსიმუმ 5 (ხუთ) აქტიურ ციფრულ ბარათს, თუ ბანკის მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული ბანკის შიდა პოლიტიკა/პროცედურებით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამასთან, ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში კლიენტი უფლებამოსილია ბანკს შეუკვეთოს მაქსიმუმ 10 (ათი) ციფრული ბარათი, ხოლო ყოველი 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში კლიენტი უფლებამოსილია ბანკს შეუკვეთოს მაქსიმუმ 5 (ხუთი) ციფრული ბარათი. ამ პუნქტის მიზნებისთვის კალენდარული წლის/24 (ოცდაოთხი) საათის ათვლა დაიწყება შეკვეთილი ციფრული ბარათის აქტივაციის თარიღიდან/მომენტიდან.

60. კლიენტი უფლებამოსილია ერთდროულად ფლობდეს მაქსიმუმ 10 (ათ) აქტიურ პლასტიკურ ბარათს, თუ ბანკის მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული ბანკის შიდა პოლიტიკა/პროცედურებით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამასთან, ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში კლიენტი უფლებამოსილია ბანკს შეუკვეთოს მაქსიმუმ 10 (ათი) პლასტიკური ბარათი. ამ პუნქტის მიზნებისთვის კალენდარული წლის ათვლა დაიწყება შეკვეთილი პლასტიკური ბარათის აქტივაციის თარიღიდან.

61. კლიენტი უფლებამოსილია, მობილ ბანკის მეშვეობით აღადგინოს PIN კოდი მობილ ბანკით დადგენილი წესის შესაბამისად. აღდგენილი PIN კოდი გაიგზავნება კლიენტის ფინანსურ ნომერზე.

62. MCC-ის (ISO 18245 სტანდარტით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობის ჭრილში დადგენილი ოთხნიშნა კოდი) ჭრილში თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებია:

MCC	
7995	ფსონების დადება, მათ შორის ლატარეის ბილეთების და კაზინოს სათამაშო ჩიპების შექმნა, რბოლაზე ფსონების დადება

63. ახალი ბარათის დამზადების შემთხვევაში, დაბლოკილია წინამდებარე დანართის 62-ე პუნქტით განსაზღვრულ თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან ბარათის მეშვეობით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა. ამასთან, კლიენტი უფლებამოსილია, ბანკში დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად, ნებისმიერ დროს გააქტიუროს ან დაბლოკოს თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან ბარათის მეშვეობით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა.

64. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს სავაჭრო/მომსახურების ობიექტები, რომელებიც არ წარმოადგენენ თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებს და რომელთან მიმართებითაც კლიენტი უფლებამოსილია ბანკში დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად დაბლოკოს ან დაბლოკვის შემდგომ გააქტიუროს ბარათის მეშვეობით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა.

65. საქართველოს მასშტაბით American Express PLUS და SOLO PLUS Card ბარათით თანხის გადახდა ან/და განაღდება შესაძლებელია მხოლოდ ბანკის მომსახურების არხების, მათ შორის ერთმნიშვნელოვანდ ბანკის პოს-ტერმინალების, ბანკომატების, ელექტრონული კომერციით მომსახურების და სერვის-ცენტრების მეშვეობით.

66. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, VISA, MasterCard და American Express-ის საგადახდო სისტემის ბარათებით ინტერნეტ (ონლაინ) გადახდის შესასრულებლად სავალდებულოა გადახდის ერთჯერადი კოდით დადასტურება, რომელიც კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს გაეგზავნება მის მიერ ბანკში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე და დამატებით მობილ ბანკში PUSH ნოტიფიკაციის საშუალებით იმ შემთხვევაში, თუ მობილ ბანკში კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ბოლო ავტორიზაცია დაფიქსირებულია უცხოეთის IP მისამართიდან ან/და თუ კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს ბანკში დაფიქსირებული აქვს უცხოური ფინანსური ნომერი ან/და თუ კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს ბანკში დაფიქსირებული აქვს ინტერნეტ (ონლაინ) გადახდის შესასრულებლად ერთჯერადი კოდის PUSH ნოტიფიკაციის საშუალებით მიღების სურვილი და მობილურ მოწყობილობას, რომელსაც მობილ

ბანკის გამოყენებისათვის მინიჭებული აქვს სანდო მოწყობილობის სტატუსი ან/და **Digipass**-ზე, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი. **ერთჯერადი კოდის** შესაბამის ველში სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში **კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს ბანკის** მიერ დადგენილი დროით შეეზღუდება ინტერნეტ (ონლაინ) გადახდის განხორციელება.

67. **ბარათთან** შესაძლებელია დაკავშირდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ვადიანი სამგზავრო ბარათი, რომელიც შექმნილია **მობილ ბანკის** საშუალებით, ამასთან:
 - 67.1. იმ შემთხვევაში თუ ვადიანი სამგზავრო ბარათის და **ბარათის** მოქმედების ვადა განსხვავებულია ერთანეთისგან:
 - 67.1.1. ვადიანი სამგზავრო ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, მგზავრობის საფასურის გადახდა მოხდება ავტომატურად **ბარათთან** დაკავშირებული **ანგარიშიდან**.
 - 67.1.2. **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომ, რომელზეც არის მიბმული მოქმედი ვადიანი სამგზავრო ბარათი **კლიენტი** ვერ შეძლებს ვადიანი სამგზავრო ბარათით სარგებლობას. ასეთ შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია ვადიანი სამგზავრო ბარათი დარჩენილი ვადიანობით დაუკავშიროს სხვა მოქმედ **ბარათს**.
 68. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** დაკარგავს **ბარათს**, რომელთანაც დაკავშირებულია ვადიანი სამგზავრო ბარათი ან აღნიშნული **ბარათი** დაზიანდება ან განადგურდება, **კლიენტი** უფლებამოსილია ვადიანი სამგზავრო ბარათი დარჩენილი ვადიანობით დაუკავშიროს სხვა მოქმედ **ბარათს**.